სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 ნოემბერი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/213

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **მეგი სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №01-08/722 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/11, 21.11.2025) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0001689948, 27/11/2025) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **მეგი სურმანიძის** სადისერტაციო ნაშრომის „ტურისტების სოციალური მიმღებლობის გავლენა ტურიზმის ბიზნესზე და მისი რეგულირების მექანიზმები“ **საჯარო დაცვა** დაინიშნოს 2025 წლის **12 დეკემბერს,** 14:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი)**;
2.3. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. პაატა არუშიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.6. ირინა ვაშაყმაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. ქეთევან გოლეთიანი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. ია მესხიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. თამარ ბერიძე - ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>დეკანის ოფისმა</u> უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>სადისერტაციო საბჭოს მდივანმა</u> უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**